# საქართველო
# საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
# ბრძანება

ბრძანება:ბ70. 702410715
თარიღი:16/04/2024

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანწმინდაში 1-ლი ქუჩა N31-ში შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს არსებული ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის ნებართვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ნ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 107-ე მუხლისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" მე-6 თავის საფუძველზე ვბრძანებ:

1. ნება დაერთოს შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანწმინდაში იჯარით კუთვნილ მიწის ნაკვეთზე რომლის საკადასტრო კოდია 35.08.45.048 ფართობი 1360,00მ$^2$, არსებულ ავტოგასამართ სადგურს ჩაუტაროს რეკონსტრუქცია პროექტით განსაზღვრული ტექნიკური მაჩვენებლებით: ოფისის შენობა: განაშენიანების ფართი 62,70მ$^2$, სამშენებლო მოცულობა 250,80მ$^3$, სასარგებლო ფართი 51,30მ$^2$; ფარდული: განაშენიანების ფართი 118,80მ$^2$; ტერასა: განაშენიანების ფართი 21,20მ$^2$; საწვავის სარკოფაგი: განაშენიანების ფართი 82,10მ$^2$; მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განესაზღვროს 2026 წლის 19 აპრილი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე დ.აღმაშენებლის ქუჩა#3).

ლევანი ივანაშვილი

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი

GEORGIA. SACHKHERE MUNICIPALITY CITY HALL

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

**სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

21 თებერვალი 2024

MRDI-RD N 2-03/2214

შ.პ.ს. „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს
ელ. ფოსტა: info@gulf.ge

ასლი: საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: შ.პ.ს. „არილს“
ltdarili@gmail.com

ასლი: სს „EGIS INTERNATIONAL“-ს
info_projects@egis-georgia.com

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ითვალისწინებს რა შ.პ.ს. „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს დირექტორის ბატონ ქრეიგ სთივენ ქრამერის 2024 წლის 20 თებერვლის №1/80 მიმართვას, არ არის წინააღმდეგი საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანწმინდაში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ50+765მ-ში, მარცხენა მხარეს, მოქალაქე ნათია კაპანაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №35.08.45.048) არსებულ ავტოგასამართ სადგურს საავტომობილო გზის ღერძიდან პირველ გასამართ სვეტამდე 16 მეტრის დაშორებით ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია, შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. შ.პ.ს. „არილი“-ს წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით, შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან შეთანხმებით და ობიექტის მესაკუთრის ძალებითა და სახსრებით ავტოგასამართი სადგურთან ავტოტრანსპორტის შესასვლელ - გამოსასვლელი მოიხრეშოს, მოშანდაკდეს ჰორიზონტალურად, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, საავტომობილო გზასთან 8÷10 მეტრიანი რადიუსის (R=8÷10) მქონე მრუდებით მოსაწყობი მიერთებები აღიჭურვოს მოძრაობის ორგანიზაციის მარეგულირებელი და ავტოგასამართი სადგურის მაუწყებელი შესაბამისი საგზაო ნიშნებით და ცემენტობეტონის ან/და ასფალტობეტონის საფარით, რომლის ნიშნულის დონე არ უნდა აღემატებოდეს გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის ასფალტობეტონის საფარის ნიშნულის დონეს.

2. მიწის ვაკისსა და სავალ ნაწილზე ატმოსფერული ნალექების მოცილების უზრუნველსაყოფად ობიექტის ტერიტორიის ფარგლებში მოეწყოს წყალმომცილებელი საშუალებები.

3. ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პერიოდში აკრძალულია საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე და გვერდულზე საშენი მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა და სხვა, ასევე ავტოტრანსპორტის დგომა.

4. ავტოგასამართი სადგურის მისასვლელთან თანახმად საგზაო ნიშნების შესახებ ევროპის კონვენციისა (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ) და არსებული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, აკრძალულია ფასების მაუწყებელი და სხვა დანიშნულების სარეკლამო ფირნიშების გზის გასწვრივ მძღოლთა ყურადღების არეალის ფარგლებში განთავსება.

5. ობიექტის მეპატრონე ვალდებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიის ფარგლებში, თავისი ძალებითა და სახსრებით უზრუნველყოს სისუფთავის და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა. ასევე, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების პერიოდში, ს/გზასთან ასფალტობეტონის ან/და

ცემენტობეტონის საფარით აღჭურვილი მიერთებების და წყალმომცილებელი საშუალებების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა.

6. ზემოთ აღნიშნულ ადგილზე ავტოგასამართი სადგურის განთავსების და შესასვლელ - გამოსასვლელის მოწყობის საკითხი უნდა შეთანხმდეს შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან.

7. საავტომობილო გზის ამ მონაკვეთის მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ავტოგასამართი სადგურის დემონტაჟი მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დაცული უნდა იყოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

9. ავტოგასამართი სადგურის მესაკუთრემ გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში, არსებული სანიტარული წესების დაცვით თანამშრომლების, მგზავრების, ტურისტებისა და მძღოლებისათვის თვალსაჩინო ადგილზე თავისი სახსრებით მოაწყოს სან. კვანძები (საზოგადოებრივი ტუალეტი, წყალმომარაგება და სხვა).

10. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობები (საავტომობილო ტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელი, ავტოგასამართი სადგურის ადგილმდებარეობა, კმ და პკ, საავტომობილო გზის ღერძის მიმართ დაშორება, საგზაო ნიშნების განთავსება, ს/გზასთან მიერთებების ასფალტობეტონის ან/და ცემენტობეტონის საფარით აღჭურვა და სხვა) უნდა იყოს მკაცრად დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ გაცემული შეთანხმება ჩაითვლება გაუქმებულად.

11. წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, მიმართოს შესაბამის უწყებებს ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის შეჩერების ან დემონტაჟის შესახებ.

12. სამუშაოების წარმოების პროცესში ზემოაღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესრულებაზე კონტროლი ევალება სს „EGIS INTERNATIONAL“-ს და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ორგანოს. ტექნიკური პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სს „EGIS INTERNATIONAL“ ვალდებულია აცნობოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ხოლო საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია გაატაროს სათანადო ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროს რეკონსტრუქციის პროცესი, ან გაატაროს სხვა ღონისძიებები).

13. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ექსპლუატაციაში მიღებისას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი ორგანოს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილი, რომლითაც დასტურდება ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის პროცესის დეპარტამენტის მიერ გაცემულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობა.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

20/03/2024

MIA 0 24 00842852

შპს " სან პეტროლიუმ ჯორჯია "-ს
**დირექტორს ქრეიგ სთივენ ქრამერის**
მისამართი: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N34

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსს
**ბატონ ვასილ პეტრიაშვილს**

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი N555075 წერილი, რომელიც ეხება საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანწმინდაში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ50+765მ-ში, მარცხენა მხარეს, მოქალაქე ნათია კაპანაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №35.08.45.048) არსებული ავტოგასამართ სადგურის რეკონსტრუქციის და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების გატარების საკითხს.

ვითვალისწინებთ რა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის **იმერეთისს** მთავარი სამმართველოს მოსაზრებას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილ სქემას და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- სამუშაოთა წარმოების (შესასვლელის და გამოსასვლელის) ადგილები ღამის საათებში განათდეს და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები განთავსდეს წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- შესასვლელის/გამოსასვლელის ადგილებში განთავსდეს ყვითელი ფერის ციმციმა შუქნიშნები;
- სამუშაოების წარმოების პროცესში მიმდებარე ტერიტორიტორიაზე არსებულ მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს დროებით გაუკეთდეს დემონტაჟი ან შეიფუთოს;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- მშენებელმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის სპეც. ფორმით და ალმით აღჭურვილი თანამშრომლების გამოყოფა, შეზღუდვის ადგილებში მოძრაობის დასარეგულირებლად;
- სამუშაოების დასრულებისთანავე დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი;
- არ მოხდეს გზის საფარის და გზის მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება ან სხვაგვარად დაბინძურება;
- **სამუშაოები შესრულდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ N2-03/2214 წერილში გაწერილი პირობების შესაბამისად.**
- სამუშაოების დაწყების და დასრულების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის **იმერეთის** მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილს მობ: 577 77 39 06;

მეორე ადრესატს: გთხოვთ უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე თანდართული სქემის შესაბამისად, შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაუშვათ სამუშაოების დაწყება და გაატარეთ ზომები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. აუცილებლობის შემთხვევაში საჭირო რაოდენობის საპატრულო ეკიპაჟის გამოყოფა შეზღუდვის ადგილებში სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის დასარეგულირებლად.

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

# შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შ22 გომი საჩხერე ჭიათურა ზესტაფონი ს.გ კმ 50+762მ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ივანწმინდა, 1-ლი ქუჩა, №31 ნაკვეთში ს.კ. 35.08.45.048 არსებული ავტო გასამართი სადგურის რეკონსტრუქცია-მშენებლობა

სქემა შედგენილია „საქართველოს კანონის 1830 რს საგზაო მოძრაობის შესახებ-ის მოთხოვნებით




## სტანდარტული საგზაო ნიშნები

| ბრაფიკა | ნიშნის ნომერი | რაოდენობა |
|---|---|---|
| 2.1 | 2.1 | 2 |
| 2.3 | 2.3 | 2 |
| 3.1 | 3.1 | 1 |
| 3.24 | 3.24 | 1 |
| 4.1.1 | 4.1.1 | 2 |
| 4.2.3 | 4.2.3 | 1 |
| 4.1.2 | 4.1.2 | 1 |
| 4.1.4 | 4.1.4 | 1 |
| 4.1.5 | 4.1.5 | 1 |
| 7.4 | 7.4 | 1 |
| | 8.22.3 | 1 |
| | 8.6.2 | 1 |

ექსპლიკაცია:

1. საწვავგასამართი წარდული
2. საწვავის აპარატები
3. ოფისი-მარკეტი
4. ტერასა მსუბუქი გადახურვით
5. მიწისქვეშა საწვავის ავზები
6. ავტოცისტერნის გასაჩერებელი
7. ავტოსადგომი
8. გამწვანება
9. სახანძრო ჰიდრანტი
10. შიდა გადაადგილების გზა

## მონაცემები ობიექტის განთავსების შესახებ

1. დასაპროექტებელი ობიექტის ზუსტი დანიშნულება:
მიწის ნაკვეთზე (ს/კ 35.08.45.048) არსებული ავტო გასამართი სადგურის რეკონსტრუქცია-მშენებლობა, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა
2. საავტომობილო გზის დასახელება.
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შ22 გომი საჩხერე ჭიათურა ზესტაფონი
3. კილომეტრი,პიკეტი, დაშორება გზის ღერძიდან.
კმ 50+762 მ, გზის ღერძიდან 16.032 მ–ის დაშორებით.
4. განთავსების მხარე და ტერიტორია დასახლებულია თუ დაუსახლებელი
განთავსება მარცხენა მხარე, დასახლებული.

შეთანხმებულია

შპს არილი
დირექტორი

დავით ივანიაძე


შეასრულა
ტელ. 551 37 14 41
უ. სტურუა

შ. პ. ს. "ვეი ბრუპ"
☎ 579 100 302 sturuaa@gmail.com



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შ22 გომი საჩხერე ჭიათურა ზესტაფონი ს.გ კმ 50+762მ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ივანწმინდა, 1-ლი ქუჩა, №31 ნაკვეთში ს.კ. 35.08.45.048 არსებული ავტო გასამართი სადგურის რეკონსტრუქცია-მშენებლობა


საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. საკონტაქტო პიროვნება კახა შარვაძე ტელ. 577 990 828


| ზელშეკრულება | დამკვეთი | თარიღი |
|---|---|---|
| | 404391136 | 04.12.2023 |

მ. 1:500